



საქმე №1/ბ-264-13

**გ ა ნ ა ჩ ე ნ ი**  
საქართველოს სახელით

10 დეკემბერი, 2013 წელი

ქ. თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**  
**თავმჯდომარე კახაბერ მაჭავარიანი**  
**მოსამართლეები: გერონტი კახეთელიძე**  
**მაია ივანიძე**

*ეკატერინე უკლებასა და ეკა კოკილაშვილის მდივნობით,*

სახელმწიფო ბრალმძებლების: **ზ.მ.-სა** და **გ.ლ.-ს**  
ადვოკატის: **ვ.მ.-ს**  
მსჯავრდებულის: **ლ.ტ.-ს**

*მონაწილეობით,*

მსჯავრდებულ **ლ.ტ.-ს** სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, განიხილა სისხლის სამართლის საქმე **ლ.მ.-ს** ძე **ტ.-ს** დაბადებულის **XXXX** წლის **X** ივლისს, საქართველოს მოქალაქის, ნასამართლობის არმქონის, დასაოჯახებელის, მცხოვრების: **ქ.რ.**, მე-**XX** მ/რ, **NXX/XX**-ში დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით.

**აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:**

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 20 ივნისის განაჩენით, **ლ.ტ.** ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7(შვიდი)წლით თავისუფლების აღკვეთა.

**ლ.ტ.-ს** მსჯავრი დაედო მასში, მან ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა. აღნიშნული გამოიხატა შემდეგში: ქალაქ **რ.-ში** **მ.-ს** ქუჩა **NXX/XX**-ში მცხოვრებ **ზ.კ.-სა** და მეზობლად მე-**XX** მ/რ, **NXX/XX**-ში მცხოვრებ **ლ.ტ.-ს** შორის იყო არაჯანსაღი დამოკიდებულება, რაც განპირობებული იყო მათი პირადი ურთიერთობებით. 2007

წლის 5 დეკემბერს, დაახლოებით 18:00 საათზე, რ.-ში, თ.-ს ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, ავტობუსის გაჩერებასთან მდგარ მთვრალ მდგომარეობაში მყოფ ზ.კ.-სთან მივიდა ლ.ტ. და სთხოვა სანთებელა, რაზედაც მათ შორის მოხდა შელაპარაკება. ზ.კ.-მ ხელი წამოარტყა ლ.ტ.-ს თავის არეში, მათ შორის ინციდენტი განმუხტა ლ.ტ.-ს მეგობარმა - მ.ჩ.-მ. ეს უკანასკნელი და ლ.ტ. წავიდნენ თავიანთი საცხოვრებელი სახლის ეზოსკენ, რითაც ფაქტობრივად დაპირისპირებულ მხარეებს შორის ინციდენტი ამოიწურა. ლ.ტ. შეურაცხყოფილი და განაწყენებული იყო თავში ხელის წამორტყმის გამო. იმავე საღამოს, დაახლოებით 19:00 საათზე მე-XX მ/რაიონის NXX საცხოვრებელი კორპუსის ეზოში, როდესაც ზ.კ. ბრუნდებოდა სახლში, მას შემოხვდა თავისი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოდან გამოსული ლ.ტ. და მ.ჩ. ზ.კ.-სა და ლ.ტ.-ს შორის კვლავ მოხდა შელაპარაკება, რაც ჩხუბში გადაიზარდა, განაწყენებულმა ლ.ტ.-მ, რომელიც განმსჭვალული იყო რა შურისძიების გრძნობით, ზ.კ.-ს განზრახ მოკვლის მიზნით ამოიღო ჯიბიდან თანნაქონი დანა და ოთხჯერ დაარტყა ზ.კ.-ს, რითაც მიაყენა გულმკერდის უკანა ზედაპირზე სიცოცხლისათვის სახიფათო ნაჩხვლეტ-ნაკვეთი ჭრილობები, პნევმოთორაქსი, ტრავმულ-ჰემორაგიული შოკი, თვითონ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 20 ივნისის განაჩენი, სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ლ.ტ.-მ, რომელმაც სააპელაციო სასამართლოში დააზუსტა თავისი მოთხოვნა და მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, მისი ქმედების გადაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლიდან საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, ბრალდების მხარემ მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის უცვლელად დატოვება.

პალატამ განიხილა რა აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე, შეამოწმა სააპელაციო საჩივრის საფუძვლიანობა, შეაფასა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები და მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მიერ სააპელაციო პალატის სხდომაზე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მსჯავრდებულმა ჩაიდინა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით, ვინაიდან მათ მიერ მოყვანილი არგუმენტები არ შეესაბამება და წინააღმდეგობაში მოდის საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დაზარალებულმა ზ.კ.-მ დაადასტურა მის მიერ წინასწარ გამოძიებასა და პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული ჩვენება და უჩვენა, რომ მსჯავრდებულს იცნობს, მისი მეზობელია, მაგრამ ახლო ურთიერთობა მასთან არ ჰქონია. 2007 წლის 5 დეკემბერს ის ნასვამ მდგომარეობაში იდგა თავისი სახლის წინ სამარშუტო ტაქსების გაჩერებაზე. ამ დროს მასთან მივიდა ლ.ტ. და მისი თანმხლები პირი, როგორც შემდგომ გაიგო, ის პიროვნება იყო მ.ჩ. ლ.ტ.-მ აგდებულად სთხოვა სანთებელა, მისთვის ასეთი ტონი მიუღებელი იყო და ამიტომ უხეშად უპასუხა, რა დროსაც მასთან მოუვიდა შელაპარაკება და ლ.-ს ხელი წამოარტყა. ამის შემდეგ ის წავიდა მალაზიისკენ წვენიის საყიდლად და ვიდრე

კორპუსთან მივიდოდა, მას ისევ შეხვდა ლ.ტ. და მისი თანმხლები პირი. ლ.-მ ცოტა ხნის წინათ დაწყებული საუბარი გააგრძელა, რაც ჩხუბში გადაიზარდა, მას ხელში დიდი გასაღები ეკავა და შესაძლოა ლ.-მ და მისმა მეგობარმა დანად აღიქვეს, ლ.-ს თანმხლებმა პირმა მას თავში აგური ჩაარტყა და სისხლი წამოუვიდა, რის გამოც ვერაფერს ხედავდა. როგორც დაზარალებულმა მიუთითა ის ტ.-სგან შებრუნებული იყო და ამ დროს დაარტყეს დანა. თუ რომელმა დაარტყა არ იცის, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ტ. იქნებოდა. მიუხედავად ყველაფრისა, მსჯავრდებულის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია.

სააპელაციო სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა ვ.გ.-მ უჩვენა, რომ ლ.ტ. არის მისი მეზობელი. 2007 წლის 5 დეკემბერს, საღამოს საათებში მიდიოდა მაღაზიაში, გაიგონა ლ.-ს ხმა, რომ ვიღაცას უყვიროდა „რატომ მირტყამო“. როდესაც მიუახლოვდა მას არავის ხელში დანა არ დაუნახავს. დანა ძირს ეგდო. ვ.-ს შუბლი სისხლიანი ჰქონდა, ხოლო შემდეგ სასწრაფო დახმარების მანქანით წაიყვანეს. მოწმე ვ.-მ დაადასტურა მის მიერ წინასწარ გამოძიებაში და პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული ჩვენება, სადაც ის მიუთითებდა, რომ ტ.-სთან მყოფმა თანმხლებმა პირმა - მ.-მ, ვ.-ს დანა ხელიდან გააგდებინა, ლ.-მ ის დანა აიღო და ვ.-ს დაარტყა, რის შემდეგაც ლ.ტ. და მ.ჩ. ერთად გაიქცნენ.

სააპელაციო სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა მ.ჩ.-მ დაადასტურა მის მიერ წინასწარ გამოძიებასა და პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული ჩვენება და უჩვენა, რომ ლ.ტ. მისი მეგობარია, დაზარალებულს შემთხვევამდე არ იცნობდა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ 2007 წლის 5 დეკემბერს, საღამოს, ის და ლ.ტ. გაჩერებაზე იდგნენ და სამარშუტო ტაქს ელოდებოდნენ, იქვე იდგა დაზარალებული ზ.კ.-ც. ლ.-ს ასანთი დასჭირდა და მას სთხოვა, ზ.კ.-მ უხეშად უპასუხა და ლ.-ს თავში მუშტი ჩაარტყა. ვინაიდან დაზარალებული ნასვამი იყო, ისინი იქაურობას გაეცალნენ და წავიდნენ. საკუთარი კორპუსის ეზოში, გზად მიმავალს ისევ შეხვდათ დაზარალებული. ლ. და დაზარალებული ისევ შეკამათდნენ. დაზარალებულს ხელში რაღაც რკინის მაგვარი ეჭირა, დანა იყო თუ გასაღებების ასხმა ვერ გარკვია, როგორც აღიქვა აღნიშნულ საგანს ვ. ლ.-ს ურტყამდა თავში, ამიტომ მან აგურის ნატეხი აიღო და დაზარალებულს თავში ჩაარტყა, რის შემდეგაც ის წაბარბაცდა. წაიქცა თუ არა არ ახსოვს. როგორც მოწმემ მიუთითა, როდესაც ვ. მას გამოეკიდა, ტ.-მ დაზარალებულს მაშინ დაარტყა დანა. მისივე განმარტებით ლ.ტ.-სათვის დანა არ შეუნიშნავს, ალბათ დაზარალებულის დანა იყო.

სააპელაციო სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა მ.ბ.-მ დაადასტურა, როგორც წინასწარი გამოძიებაში ისე პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული ჩვენებები და განმარტა, რომ ლ.ტ. არის მისი შვილი. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ ის შემთხვევის ადგილას არ ყოფილა და გადმოცემით იცის, რომ ლ.-სა და ზ.კ.-ს ჩხუბი ასანთის გამო მოსვლიათ. ლ.-ს უთხოვია ასანთი, მას კი შეურაცხყოფა მიუყენებია, ვ. ნასვამი ყოფილა და დანით ხელში პირველი გამოვიდებია ლ.-ს, მაგრამ შემდეგ ის დანა ხელიდან დააგდებინეს. მოგვიანებით, როცა თავისი შვილის „კურტკა“ ნახა, ის სამ ადგილას იყო დასერილი.

საქმის სააპელაციო წესით განხილვისას მსჯავრდებულმა ლ.ტ.-მ განმარტა შემდეგი: მას დაზარალებულ ვ.-სთან არანაირი ურთიერთობა არ ჰქონდა და წარსულშიც არანაირი შეხება არ ჰქონია. 2007 წლის 5 დეკემბერს, საღამოს საათებში მან და მ.ჩ.-მ

გადაწყვიტეს ჩ.-ს დასთან წასვლა, გაჩერებაზე მან გვერდით მდგომ კ.-ს ასანთი სთხოვა, მან უხეზად უპასუხა და სახეში სილა გაართყა, ჩ. მათ შორის ჩადგა და გააშველა. ამის შემდეგ ორივენი ეზოსკენ გატრიალდნენ. მეორე ინციდენტის დროს კი, როგორც ჩ.-მ უთხრა, კ.-ს ქვა ჩაართყა, მას კ.-ს ხელში დანა არ დაუნახავს, შემდეგ გაიგონა ვიღაცამ რომ დაიძახა: „დანა არ დაართყაო“, ამიტომ მანაც დაიყვირა „დანა არ დამართყაო“. როგორც მსჯავრდებულმა განმარტა, მან ძირს დაგდებული დანა აიღო და იმ დროს, როდესაც კ. ჩ.-სკენ შეტრიალდა ზურგის არეში დანა დაართყა. რამდენჯერ დაართყა არ ახსოვს, მაგრამ მას დაზარალებულის მოკვლის განზრახვა არ ჰქონია.

სააპელაციო პალატაში, მსჯავრდებულის მხრიდან დანის გამოყენების ფაქტი არც დაცვის მხარემ გახადა სადაოდ, თუმცა მიუთითა, რომ ტ. იძულებული გახდა თავდაცვის მიზნით დაზარალებულისთვის დანა დაერთყა, წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ გახდებოდა ზ.კ.-ს მსხვერპლი.

პალატა დაცვის მხარის არგუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, რომ მსჯავრდებული შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე მოქმედებდა თავდაცვის მიზნით, ვერ გაიზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო: იმისათვის, რომ პალატამ იმსჯელოს მსჯავრდებულის მხრიდან ადგილი ჰქონდა თუა არა აუცილებელი მოგერიების დროს ფარგლების გადაცილებას, გამოკვლეული მტკიცებულებების მიხედვით პირველ რიგში სააჭიროა დადგინდეს, მსჯავრდებული იმყოფებოდა თუ არა აუცილებელი მოგერიების ფარგლების მდგომარეობაში. მ.ჩ.-მ, რომელიც უშუალო ფაქტის შემსწრე მოწმეა მიუთითა, რომ ლ.ტ.-მ დანა დაზარალებულს მაშინ დაართყა, როდესაც ეს უკანასკნელი მას შემოუტრიალდა და ტ.-სთან ზურგით იდგა. იგივეს ადასტურებს თვით მსჯავრდებულებიც. მამასადაამე დაზარალებულის მხრიდან ტიტვინიძის მიმართ აღარ არსებობდა იმწუთიერი, მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის საშიშროება, შეწყვეტილი იყო თავდასხმის მომენტიც, რაც თავის მხრივ ამ უკანასკნელს ჩააყენებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. მოწმე განმარტავს, რომ ლ.-მ ალბათ მის საშველად ჩაართყა დანა დაზარალებულს. პალატა მიიჩნევს, რომ ვერც აღნიშნული გამოდგება იმის დასასტურებლად, რომ ამ სიტუაციაში მსჯავრდებული მისი მეგობრის სიცოცხლეს ან ჯანმრთლობას იცავდა, რადგანაც ამ მომენტისათვის, როგორც დაზარალებული უჩვენებს სისხლიან სახეზე ხელები ჰქონდა აფარებული და ვერაფერს ვერ ხედავდა. მოწმეების: ჩ.-ს, გ.-ს და თვით მსჯავრდებულის ჩვენებით დგინდება, რომ ამ უკანასკნელმა დაზარალებულის დაგდებული დანა აიღო და შემდეგ დაართყა მას. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ მოწმე მ.ჩ. დაზაუსტებით ვერ უჩვენებს დაზარალებულს დანა ეკავა ხელში თუ გასალებების აცმა. დაზარალებულმა კი კატეგორიულად უარყო დანის ქონის ფაქტი. მამასადაამე, კონკრეტულ შემთხვევაში დაზარალებულის მხრიდან მ.ჩ.-ს მიმართაც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე განხორციელებულ თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან. მოცემულ შემთხვევაში კი მსჯავრდებულის მხრიდან ქმედების ჩადენას მაშინ ჰქონდა ადგილი, როდესაც არათუ თავდასხმის საშიშროება, არამედ თავდასხმა, როგორც დაზარალებულის მხრიდან მომავალი საშიში ქმედება აღარ არსებობდა.

ამდენად, დაცვის მხარის მითითება, რომ მსჯავრდებულ ლ.ტ.-მ ჩაიდინა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული.

გარდა ამისა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად დაზარალებული კ.-ს აღნიშნება დაჟეჟილი ჭრილობები თავის მიდამოში, ნაჩხვლეტ-ნაკვეთი ჭრილობები გულმკერდის უკანა ზედაპირზე, პნევმოთორაქსი, ტრავმულ-ჰემორაგიული შოკი, დაზიანება თავის მიდამოში მიყენებულია რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით, დაზიანებები (ოთხი ჭრილობა) მიყენებულია გულმკერდის უკანა ზედაპირზე მიყენებულია რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისთვის საშიფათოს.

ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ ზ.კ.-ს ტანსაცმლის ზედაპირზე არსებული გამჭოლი დაზიანებები მიყენებულია რაიმე მჩხვლეტავი, მჭრელი საგნის ზემოქმედების შედეგად, როგორც შესაძლებელია იყოს დანა და შესაძლებელია მიყენებული იყოს ერთიდაიგივე დანით, ან სხვადასხვა დანით.

პალატა აანალიზებს რა საქმეზე შეკრებილ და გამოკვლეულ მტკიცებულებებს თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით ობიექტურად გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები და მსჯავრდებულის ქმედებებს მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეში არსებული მტკიცებულებათა ერთობლიობით, დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულმა ლ.ტ.-მ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეული ქმედება. რაც შეეხება დანიშნულ სასჯელს, პალატა თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მსჯავრდებულისთვის სასჯელის დანიშვნის დროს სრულად გაითვალისწინა მისი პიროვნული მახასიათებლები, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ისე დაუნიშნა სასჯელი.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. იმავდროულად, პალატა მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულ ლ.ტ.-ს მიმართ დანიშნულ სასჯელზე უნდა გავრცელდეს 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი და, შესაბამისად, ცვლილება უნდა შევიდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში.

### ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 536-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით

### დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. არ დაკმაყოფილდეს მსჯავრდებულ ლ.ტ.-ს სააპელაციო საჩივარი;
2. ცვლილება შევიდეს რუსთავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 20 ივნისის განაჩენში;

3. **ლ.ტ.** ცნობილი იქნას დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით და სასჯელის ზომად განესაზღვროს 7(შვიდი)წლით თავისუფლების აღკვეთა. 2012 წლის 28 დეკემბერის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად **ლ.ტ.-ს** დანიშნული სასჯელი გაუნახვერდეს და სასჯელის ზომად განესაზღვროს 3(სამი)წლით და 6(ექვსი)თვით თავისუფლების აღკვეთა;
4. მსჯავრდებულ **ლ.ტ.-ს** სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან 2013 წლის 28 იანვრიდან;
5. ცნობად იქნას მიღებული, რომ მსჯავრდებულ **ლ.ტ.-ს** მიმართ აღკვეთი ღონისძიება გაუქმებულია;
6. საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი დაზარალებულ **ზ.კ.-ს** ტანსაცმელი: ტყავის ქურთუკი, სპორტული ქურთუკი, მოკლესახელოებიანი მაისური და ჯინსის შარვალი, რომელიც ინახება შსს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს დაზარალებულს;
7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გამოცხადებისთანავე შედის კანონიერ ძალაში და ექვემდებარება დაუყონებლივ აღსრულებას.
8. განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით მისი გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

თავმჯდომარე:

კ.მაჭავარიანი

მოსამართლეები

გ. კახეთელიძე

მ.ივანიძე